



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #13

2015 წლის ნოემბერვალი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების, სპეცავტომანქანების ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურისთვის“ უსასყიდლოდ სარგებლობაში (თხოვების ფორმით) გადასაცემად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურს“ უსასყიდლოდ სარგებლობაში (თხოვების ფორმით) გადასცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, კერძოდ:
 - ა) სპეცავტომანქანა „ისუზუ NPR 66“ სარეგისტრაციო ნომრით VJV 781 (საწყისი საბალანსო ღირებულება 80000 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 34560 ლარი).
 - ბ) ავტომანქანა „გაზ 53-12“ სარეგისტრაციო ნომრით AEQ 073 (საწყისი საბალანსო ღირებულება 3648 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 1196 ლარი).
 - გ) სპეცავტომანქანა „სინოტრაქ 266“ სარეგისტრაციო ნომრით SII 863 (საწყისი საბალანსო ღირებულება 137089 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 75427 ლარი).
2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.